



**სსიპ სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**

**„2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით
წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს
მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ საფუძველზე შემუშავებული
რეკომენდაციები**

საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძისა და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების შედეგად გამოვლენილი მაღალი რისკის გამო, საჭიროა გადაიხედოს და გაძლიერდეს რისკის მართვის არსებული ღონისძიებები.

1. მნიშვნელოვანია ჩატარდეს აფლატოქსინ M1 –ის მიზნობრივი მონიტორინგი:
 - ✓ ნედლი რძეში -რძის მიმღებ პუნქტებში;
 - ✓ სარეალიზაციოდ განთავსებულ რძესა და რძის პროდუქტებში (რძე, ყველი, მაწონი, არაყანი, ხაჭო, იოგურტი);
 - ✓ მაღალი რისკის ქვეყნებიდან იმპორტირებულ რძეში, რძის ნედლეულსა (რძის ფხვნილი, რძის პასტა) და რძის პროდუქტებში;
 - ✓ ბავშვთა კვების პროდუქტებში, რომელიც შეიცავს რძეს (მათ შორის რძის ფორმულა და რძის შემცველი ფაფები).

მონიტორინგი უნდა დაიგეგმოს შერჩევის ზომისა და სათანადო დიზაინის გათვალისწინებით, კვლევის სტატისტიკურად სარწმუნო შედეგების მისაღებად.

2. ვინაიდან აფლატოქსინი M1 წარმოადგენს აფლატოქსინი B1-ის მეტაბოლიტს, საჭიროა გადაიხედოს და გაძლიერდეს რისკის მართვის არსებული ღონისძიებები ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებულ მარცვლეულსა და ცხოველთა საკვებში აფლატოქსინი B1-ის შემცველობაზე;
3. ადგილობრივი წარმოების მარცვლეულში განხორციელდეს აფლატოქსინ-B1 მიზნობრივი მონიტორინგი მეტეოროლოგიური ფაქტორებისა და მოდელირების შედეგების გათვალისწინებით, როგორც ეს განსაზღვრულია EFSA-ს 2012 წლის გაიდლაინში (<https://www.efsa.europa.eu/en/supporting/pub/en-223>);
4. აფლატოქსინ M1-ის რისკის მინიმიზირებისთვის FAO-ს მიერ რეკომენდებულია რისკის მართვის ღონისძიებები (FOOD SAFETY RISK MANAGEMENT, EVIDENCE-

INFORMED POLICIES AND DECISIONS, CONSIDERING MULTIPLE FACTORS- FAO GUIDANCE MATERIALS , FOOD AND AGRICULTURE ORGANIZATION OF THE UNITED NATIONS, ROME, 2017):

- ✓ მოსავლის აღებამდე ბიოკონტროლი, რომელიც გულისხმობს ატოქსიგენური *Aspergillus*-ის გამოყენებას სიმინდის კულტურებზე, რათა კონკურენცია გაუწიოს ტოქსიგენურ *Aspergillus*-ს;
 - ✓ ავლატოქსინის შემზოჭველების გამოყენება მერძეული ცხოველებისთვის (განსაკუთრებით სტაციონალური შენახვის პირობებში მყოფ ცხოველთათვის).
5. რძესა და რძის პროდუქტებში, მიკოტოქსინების რისკის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია ლაბორატორიული კვლევის ჩატარება სხვა ჯგუფის მიკოტოქსინებზეც;
 6. პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, ფერმერთა და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება ცხოველთა საკვების წარმოებისა და შენახვის „კარგი პრაქტიკის“ შესახებ და მიკოტოქსინებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე;
 7. ლაბორატორიული ტესტირების ოქმებში მიეთითოს ინფორმაცია კვლევის მეთოდზე, საკვლევი ნივთიერების/აგენტის დეტექციისა და რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვრებზე (LOD, LOQ). აგრეთვე, მეთოდისა და აპარატურისთვის სხვა სპეციფიურ მახასიათებლებზე;
 8. სურსათში არსებულ საფრთხეებზე დაბალი განუსაზღვრელობითა და სანდოობის მაღალი დონით რისკის შეფასებისთვის უპირობოდ მნიშვნელოვანია სურსათის მოხმარების ეროვნული კვლევის განხორციელება.